

**LEPL Agency of Nuclear
and Radiation Safety**

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ძირითად მიზანს წარმოადგენს რადიაციის მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვა როგორც ანმყოში, ასევე მომავალში.

ძირითადი მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს :

- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში კანონპროექტების შემუშავება
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაცია - ლიცენზიისა და ნებართვის გაცემა
- კონტროლი - ინსპექტირება
- ბირთვულ და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება
- რადიოაქტიური ნარჩენების მართვა

ავტორიზაცია

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას.

2019 წელს გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის - 80 ლიცენზია

142 ლიცენზირებული პირის ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობებში განხორციელდა ცვლილებები მათივე მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისი დასკვნის მომზადებამდე სააგენტოს სპეციალისტების მიერ შესწავლილი იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გადამოწმდა რადიაციული უსაფრთხოებისა და ფიზიკური დაცულობის მოთხოვნების შესაბამისობა არსებულ სიტუაციასთან.


ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 70 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე, ტრანზიტსა და შექმნა-გადაცემაზე.




ინსპექტირება და რეაგირება

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო ბირთვული და რადიაციული საქმიანობის კონტროლს ახორციელებს გეგმური და არაგეგმური ინსპექციების საშუალებით.

მოსახლეობის, პაციენტებისა და პერსონალის რადიაციული დაცვის მიზნით 2019 წელს ჩატარდა 122 ინსპექცია, აქედან 45 არაგეგმური ინსპექტირება. ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა 63 ორგანიზაციაში, რის საფუძველზე შედგენილი იქნა 102 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, აღნიშნულის თანახმად ჯარიმის საერთო თანხამ შეადგინა 86 000 ლარი.



ჯარიმების რაოდენობა 59² მუხლის ნაწილების მიხედვით



2019 წელს სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა რეაგირება ბირთვული მასალის უკანონო ბრუნვის აღკვეთის 1 ფაქტზე და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე რადიაციული მონიტორინგის პორტალების განგაშის შემთხვევებზე.

მოსახლეობის მოთხოვნით განხორციელდა რადიაციული გაზომვები საცხოვრებელი და მშენებარე ბინების, მიწის ნაკვეთების, სხვადასხვა სახის ნაკეთობების, ავტომობილებისა და სხვა.



რადიოაქტიური ნარჩენების მართვა

სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების უსაფრთხო მართვას ახორციელებს სააგენტო.

ამ მიმართულებით სააგენტო ძირითად მიმართული იყო რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი საერთაშორისო პროექტების მიხედვით დასახული ღონისძიების განხორციელებაზე.

რადიოაქტიური ნარჩენების ინფრასტრუქტურის მონყოლა

ევროკავშირისა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერით, ამჟამად, ხორციელდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების ერთ ლოკაციაზე განთავსებას.

ამ ეტაპზე მომზადებულია ანგარიში "რადიოაქტიური ნარჩენების წარმოშობის, არსებული და მომავალი ნაკადების მართვის და განთავსების შესაძლებლობების შეფასება საქართველოში".

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- განახლდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა.
- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს გადმოეცა სპეციალიზირებული ავტომობილი რადიოაქტიური ნარჩენებისა და რადიოაქტიური წყაროების ტრანსპორტირებისათვის, რომელიც აღჭურვილია უსაფრთხოებისა და დაცულობის თანამედროვე სისტემებით.



- გაუმჯობესდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობები (აესს-ის ნაციონალური პროექტის ფარგლებში სააგენტოს გადმოცემა თანამედროვე დოზიმეტრული აპარატურა).
- აესს-ის პროექტის ფარგლებში მიღებული იქნა რადიოაქტიური ნარჩენების კონდიციონებისათვის აპარატურა.
- სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.
- სააგენტომ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მხარდაჭერით უმასპინძლა ყირგიზეთის და ბოსნია ჰერცეგოვინის დელეგაციებს საქართველოში არსებული რადიაციული უსაფრთხოების სისტემის გასაცნობად, როგორც ერთ-ერთი ნარმატებული მოდელის აღნიშნული მიმართულებით.



